საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 107

20/2 წ. 19 . 04

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მერქნული მასალების ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 19 აპრილის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთგანხილვების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22 ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №55/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28 ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მერქნული მასალების ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 19 აპრილის №4 სხდომის ოქმის 33 ე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კიკალეიშვილი

მდივანი
დიმიტრი ალავიძე